პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 74 (10160) | სამშაბათი, 29 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს ნომერში:

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიმართვა საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის ყველა მუშაკისადმი (1-ლი გვერდი).

ლითონის თვითღირებულების შემცირების გზები (მე-2 გვერდი).

კონსულტაცია. — კონტროლი და დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო კადრების მომზადება (მე-3 გვერდი).

ა. კოკილაშვილი, ა. თომაძე. — ქართველი მოსამართლეები (მე-3 გვერდი).

ლიტერატურა და ხელოვნება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის პასუხზე საკდესის კორესპონდენტისადმი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მტკიცედ დავიცვათ საკოლმეურნეო საკუთრება!

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან და მექანიზატორებთან მჭიდრო თანამეგობრობით თავდადებულად იბრძვის ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ამ საქმეში სოფლის მშრომელებს აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმებზე, აგრეთვე ამ საკითხზე პარტიისა და მთავრობის სხვა დადგენილებანი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის მეოხებით კოლმეურნეობებმა მიიღეს ყველაფერი, რაც კი საჭიროა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, მათი ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცებისათვის. კოლმეურნეობებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის "ერთ-ერთი უდიდესი გამოხატულებაა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის ისტორიული დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“.

მიუხედავად სერიოზული ღონისძიებებისა, რაც ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ადგილებზე ხორციელდება, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა უყურადღებობით აქა-იქ მაინც ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევის ფაქტებს, საზოგადოებრივ-საკოლმეურნეო ქონებისა და პიროვნების განიავების, საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელმა მუშაკებმა დაივიწყეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით მიცემული შემდეგი გაფრთხილება:

„დაწესდეს, რომ საბჭოთა, პარტიული და სამეწარმეო ორგანოების მუშაკები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით საკოლმეურნეო ქონების, საზოგადოებრივი მიწის, ფულადი სახსრების დატაცებასა და უკანონოდ გამგებლობაში, მოიხსნებიან თანადებებიდან და მიცემულ იქნებიან სამართალში, როგორც კანონის დამრღვევნი და საკოლმეურნეო წყობილების მტრები“.

ყველასათვის ცნობილია, თუ მთავრობისა და პარტიის ამ დადგენილების დავიწყებამ, მისთვის გვერდის ავლამ რა უდიდესი ზარალი მიაყენა წარსულ წლებში ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, მათს სიმდიდრესა და საზოგადოებრივ საკუთრებას.

სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა აქტივისტები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საკოლმეურნეო წესდების მოთხოვნათა განუხრელად დაცვისადმი, იქ მდგომარეობაც კარგია. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი ორგანიზაციულად და მეურნეობრივად მტკიცეა. იგი წლითიწლობით ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, შრომადღის ხვედრის გადიდებაში. აქ მტკიცედ იცავენ არტელის წესდებას. უფრთხილდებიან საკოლმეურნეო საკუთრებას, გამგეობა საქმის ცოდნით უძღვება კოლმეურნეობის სამეურნეო და ორგანიზაციულ საქმიანობას.

ლაგოდეხის, მარნეულისა და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში კვლავ ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ეხეში დარღვევის ფაქტებს, პროდუქტებისა და ფულადი სახსრების განიავებას, კოლმეურნეებისათვის ავანსის მიცემის წესის დამახინჯებას.

ლაგოდეხის რაიონში ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა სოფელ აფენის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი. გასული წლის მანძილზე აქ ბევრი უმსგავსობა ჩაიდინეს. მაგალითად, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს უკანონოდ დაურიცხეს 274 შრომადღე, ხელმძღვანელთა დანაშაულებრივი გულგრილობის მიზეზით ამავე კოლმეურნეობაში სხვადასხვა პირებმა მითვისეს 7 სული ცხვარი და თხა, ერთი უმობელი და 3 გოჭი. დამნაშავე პირები კი დღესაც დაუსჯელი არიან. კიდევ უფრო აღმაშფოთებელი მდგომარეობა იყო ამავე რაიონის სოფელ გურგენიანის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის მოანგარიშემ თ. სამხარაძემ მითვისა 2.231 მანეთი, მანვე თავის ნათესავს ფიქტიურად შეუმცირა კოლმეურნეობისადმი დავალიანება 1.269 მანეთის რაოდენობით. საწყობის გამგეს ამხ. გ. კოპაძეს (პარტორგანიზაციის მდივანს) 1955 წლის 1 იანვრისათვის საწყობში ზედმეტად აღმოაჩნდა 5.250 კილოგრამი სიმინდი, 1.476 კილოგრამი პურის ფქვილი და სხვა პროდუქტები, რაც შემოწმების დღისათვის შემოსავალში არ იყო გატარებული. უფრო მეტიც, საწყობიდან ხშირად თვითნებურად აძლევდნენ კოლმეურნეებს პროდუქტებსა და ინვენტარს.

მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის შესანახავად ზედმეტად დახარჯეს 550 შრომადღე, საწყობიდან უკანონოდ ჩამოსწერეს 492 ცენტნერი ხორბალი. სოფელ მუღალოს ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგეს უკანონოდ ჩამოაწერეს 130 ცენტნერი ხორბალი, 69 ცენტნერი საზამთრო, 52 ცენტნერი ხახვი და სხვა პროდუქტები. ასეთი დამახინჯებებია ამავე რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

მართო ის ფაქტი, რომ 1955 წლის 1 იანვრისათვის მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში დებიტორული დავალიანება 3.681 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში 1 მარტისათვის — 2.105 ათას მანეთს, მოწმობს ამ რაიონების ხელმძღვანელი ორგანოების უყურადღებობას კოლმეურნეობებში არსებული მდგომარეობისადმი.

საზოგადოებრივ-საკოლმეურნეო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები გადაჭრით მოითხოვენ ულმობლად ვებრძოლოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის თუნდაც სულ მცირე გამოვლინებას. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაჩაღებით კოლმეურნეთა მასები დარაზმონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო წარმოებაში არსებულ დარღვევათა და დამახინჯებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები ძმთავრესად აიხსნება საკოლმეურნეო წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლების უგულებელყოფით. არც თუ მცირეა ისეთი მაგალითები, როცა იშვიათად იწვევენ კოლმეურნეობათა გამგეობების სხდომებს და კოლმეურნეთა საერთო კრებებს. ხშირია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თვითნებობა. კოლმეურნეთა საერთო კრებების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულებას ყურადღება არ ექცევა.

საკოლმეურნეო-საზოგადოებრივი დოვლათისა და ბარაქის გადიდების საფუძველს წარმოადგენს კოლმეურნეთა პირადი ინტერესების სწორად შეთავსება საზოგადოებრივ ინტერესებთან. ამოცანა ის არის, რომ განუხრელად ვებრძოდეთ საკოლმეურნეო წესდების ამ ურყევი პრინციპის დასაცავად.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფით, პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებით აღვაკვეთოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები, მშრომელთა ფართო მასების დარაზმვით წარმატებით განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, კიდევ უფრო განვამტკიცოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა — ასეთია ამოცანა.

საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია

წყალტუბოს მტს-მა 25 მარტისათვის 101 პროცენტით შეასრულა საგაზაფხულო ხვნის გეგმა. ნაცვლად 2.215 ჰექტარისა მოხნულია 2.260 ჰექტარი.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოხნას 600 ჰექტარი.

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიმართვა

საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის ყველა მუშაკისადმი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობენ რა დიდი ლენინის მოძღვრებით, ყოველი ღონისძიებით ავითარებენ მძიმე ინდუსტრიას, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობისა და ჩვენი სამშობლოს ურყევი თავდაცვითი ძლიერების საფუძველთა საფუძველია, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროა.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მძიმე ინდუსტრიის განვითარება იყო და კვლავ არის პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს მთავარი ამოცანა. მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის განუწყვეტელი აღმავლობის საფუძველზე შეიძლება ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა განსაკუთრებული ძალით აღნიშნა, რომ საჭიროა მძიმე მრეწველობის, როგორც კომუნიზმის მატერიალური ბაზის, შემდგომი მძლავრი აღმავლობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ამოცანა უახლოეს 5-6 წელიწადში მარცვლეულის მთლიანი მოსავალი ჩვენს ქვეყანაში აყვანილ იქნას სულ მცირე 10 მილიარდ ფუთამდე წელიწადში და ერთიორად და ოთხრად მეტად გადიდდეს მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება. ეს ამოცანა მით უფრო წარმატებით განხორციელდება, რაკი უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იქნება მიმწოდებელი მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში.

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი ყოველთვიურად შეიტანენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და მთელ ძალღონესა და ენერგიას ახმარენ იმას, რომ რაც შეიძლება მალე განახორციელონ ისინი.

შეგნებული აქვს რა, რომ შავი მეტალურგია მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, კომბინატის კოლექტივი მთელ ძალღონეს ახმარს იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ლითონი მისცეს საბჭოთა მეურნეობას და თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საქმეში.

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივმა მეხუთე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე მიაღწია პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, გეგმის გადამეტებით გამოუშვა: თუჯი — 498 ათასი ტონა, ფოლადი — 126 ათასი ტონა, ნაგლინი — 132 ათასი ტონა, მადანი — 2 მილიონი ტონა, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 32,9 პროცენტით და გეგმის გადამეტებით დაზოგა 102 მილიონი მანეთი.

ეს წარმატებები მოპოვებულია წარმოების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებით, ტექნოლოგიის სრულყოფითა და ახალი ტექნიკის დანერგვით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით და მუშობის მოწინავე მეთოდების გავრცელებით.

საბრძოლო წარმოებაში გაუშალედებული რკინის მადნის, გამდნობადებული აგლომერატის, საკერძის ქვეშ გაზის გადიდებული წნევის, მაღალი ხურების ბერვისა და მუდმივი ტენიანობის კომპლექსურმა გამოყენებამ, აგრეთვე მცირემარგანეციანი გადაქმნილი თუჯის გამოდნობის ათვისებამ უზრუნველყო თუჯის გამოდნობის მნიშვნელოვანი გადიდება მოქმედ ბრძოლებში და კოქსის ხარჯის შემცირება.

ჩაროსნული ფოლადდნობის ფართოდ განვითარებამ, მეტწილ მარტენის ღუმელების სადნობის ორმაგ ჩადებაზე გადაყვანამ, დინასური თაღების ქრომ-მაგნეზიტურით შეცვლამ, ლითონის ნაზავის მომზადების დროს ცეცხლით ჭრის გამოყენებამ, ჩასასხმელი და ნაზავის ონკანების რაოდენობისა და ტვირთამწეობის, ნაზავის ჩასატვირთავად მულდების ტევადობის გადიდებამ, ორსაჩერებლიანი ციცხვიდან ფოლადის ჩასხმის დანერგვამ საშუალება მოგვცა მკვეთრად გაგვედიდებინა ფოლადის გამოდნობა.

საგლინავი საამქროების წარმადობას გადიდება განხორციელდა მთელი რიგი დგანების, სახურებელი ღუმელებისა და ჭების კომპლექსური ავტომატიზაციის გამოყენების, ნაგლინის დაკალიბრებისა და სქემების გაუმჯობესების, საგლინავი დგანების ცალკეული კვანძების რეკონსტრუქციის განხორციელების გზით: დგანებს გაეკეთებული აქვს დამატებითი აყაზები, მთავარი ამძრავების მოტორები შეცვლილია უფრო მძლავრი და სწრაფი მოტორებით, აგებულია დამატებითი სახურებელი ჭები და ღუმელები. მოწყობილია საგლინავი დგანების კვანძური საგეგმო-გამაფრთხილებელი შეკეთება, რამაც საშუალება მოგვცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მაღალ დონეზე ვიმუშაოთ კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად.

საგლინავ საამქროებში განხორციელებულია აგრეთვე საცვლელი მოწყობილობისა და საგლინავი არმატურის სიმკვიდრის გადიდების ღონისძიებანი, საგლინავ ლილვებს ვასხამთ კოკილებში, ვაწარმოებთ ლილვების დადუღებას მაგარი ნადნობით. გაფართოვდა ლითონის ზედაპირის ცეცხლით ჩამოწმენდის საშუალებები, რამაც შეამცირა წუნი და გაადიდა ვარგისი ლითონის გამოსავლიანობა.

მაგრამ ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაგვკეთებია, რომ კომბინატს აქვს დიდი გამოუყენებელი რეზერვები: ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის თართოდ დანერგვა, ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების გავრცელება, აგრეგატებისა და მოწყობილობის მოცდენების შემდგომი შემცირება და პროდუქციის წუნის მოსპობა.

1955 წელს მეტალურგების წინაშე დასახულია წარმოების გადიდების, ლითონის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ახალი დიდი ამოცანები. ამ ამოცანების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ კომბინატის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციით წარმოების რეზერვების შემდგომი გამოვლინებისა და სრული გამოყენებისათვის. წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვისათვის.

საბჭოთა ადამიანების სახელოვანი ტრადიციით მაგნიტოგორსკელმა მეტალურგებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეორე ომისშემდგომი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. კრიტიკულად შევაფასეთ რა ჩვენი მუშაობა და გამოვიანგარიშეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, ჩვენ, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივი, ვკისრულობთ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

1. მოქმედ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებით მივაღწიოთ პროდუქციის წარმოების შემდგომ ზრდას, ვადამდე შევასრულოთ 1955 წლის სახელმწიფო გეგმა და წლიური გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ სულ ცოტა 100 ათასი ტონა მადანი, 50 ათასი ტონა თუჯი, 60 ათასი ტონა ფოლადი, 25 ათასი ტონა ნაგლინი. მივაღწიოთ პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, ვაწარმოოთ ლითონი ზუსტად დაკვეთების მიხედვით და გათვალისწინებული ასორტიმენტით.

2. შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 1 პროცენტით უფრო მეტად, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

3. გადაჭარბებით შევასრულოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება და მივიღოთ 15 მილიონი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია, წარმოებაში რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით დავზოგოთ 10 მილიონი მანეთი.

4. შემდგომი ტექნიკური პროგრესის, მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა სრული გამოყენებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ავუმაღლოთ კვალიფიკაცია და კომბინატის სასწავლო ქსელში ვასწავლოთ 11 ათას კაცს.

5. მეტალურგების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად მიმდინარე წელს მწყობრში ჩავაყენოთ 42 ათასი კვადრატული მეტრი ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი, ორი საბავშვო ბაღი, ორი საბავშვო ბაგა, სამი სკოლა, ორი კლუბი და კულტურის სახლი.

6. ყოველნაირი დახმარება გავუწიოთ საშეფო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საქმეში.

ამ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის კომბინატის კოლექტივმა შეიმუშავა და ახორციელებს ახალ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია აგრეგატებისა და მოწყობილობის სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება, ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფა და ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა.

თუჯის გამოდნობის გადიდებისა და ბრძოლების მარგი მოცულობის გამოყენების უფრო მაღალი კოეფიციენტის მიღწევის მიზნით ხორციელდება რკინის მადნის გაშუალედების შეთოდების შემდგომი გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილ იქნას საბრძმედე საამქროსათვის ისეთი მადნის მიწოდება, რომელშიც რკინის შემცველობა ირყევა 0,5 პროცენტის, ხოლო 0-3 მმ ფრაქციების წვრილმანის შემცველობა სულ ბევრი 7 პროცენტის ფარგლებში. მიღებულია ღონისძიებანი, რათა ბრძმედის ნაზავის შემადგენლობაში მივაღწიოთ 1,3 საწყისიანობის აგლომერატის სულ ცოტა 90 პროცენტის შემცველობასა და რკინის შემცველობის მხრივ აგლომერატის ხარისხის მუდმივობას.

კოქსის ხარისხის მუდმივობის გასაუმჯობესებლად მთელი მიღებული კოქსვადი ქვანახშირის გაშუალედება მოხდება საწყობში.

ფოლადსადნობ წარმოებაში ფოლადის მიღების გასადიდებლად ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე ხორციელდება ღონისძიებანი დნობის ხანგრძლივობის შემდგომი შემცირებისა, მარტენის ღუმელების მედეგობის გადიდებისა და ფოლადის გამოდნობისათვის მხოლოდ ზუსტად დაკვეთების მიხედვით და გრაფიკის შესაბამისად.

საგლინავ საამქროებში დასახულია გავაძლიეროთ სათბობი საშუალებანი, გარდავქმნათ მომტკეცი დგანი დამატებითი აყაზის დადგმით, უფრო ფართოდ დავნერგოთ ცეცხლით ჩამოწმენდა, სრულყოთ დაკალიბრება, გავადიდოთ გლინისა და არმატურის მედეგობა, გავაუმჯობესოთ დგანების შეკეთების ორგანიზაცია და შევამცეროთ გადაადგილების ხანგრძლივობა, რითაც მივაღწიოთ დგანების წარმადობის შემდგომ ზრდას გლინვის დროს.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა მეტალურგს აქტიურად ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში შინაგანი რეზერვების შემდგომი გამოვლინებისა და სრული გამოყენებისათვის წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის საფუძველზე, ლითონის წარმოების ახალი მძლავრი აღმავლობისა და 1955 წლის გეგმის—მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამხანაგო მეტალურგებო! სახელმწიფო გეგმის ყოველდღიური ძთლიანი და გადამეტებით შესრულებით ყოველ საამქროში, სამადნეში, ყოველ უბანზე და აგრეგატში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და თვითღირებულების შემცირებით ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენი დიადი სამშობლოს მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საქმეში.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებებზე.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ბაქო, 26 მარტი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა აზერბაიჯანის სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ. უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა აზერბაიჯანის სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 2.336.962 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში 2.334.693 ათასი მანეთის რაოდენობით, შემოსავალი გასავალს სჭარბობს 2.269 ათასი მანეთით.

უმაღლესმა საბჭომ აირჩია აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი მირზა აჟდარ ოღლი იბრაჰიმოვი. სესიაზე შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობა — აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია დეპუტატი სადიხ ჰაჯიიარალი-ძე რაგიმოვი.

უმაღლესმა საბჭომ აირჩია აგრეთვე მუდმივი კომისიები და დაამტკიცა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

ახალი ტექნიკა საფეიქრო საწარმოებში

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ბამბეულის მრეწველობა ახალი ტექნიკით იარაღდება. მარტო მოსკოვის ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებში უკანასკნელ წელს დაიდგა 1.300-ზე მეტი საქსოვი ავტომატი, ამუშავდა ახალი დიდი წარმადობის სართავი მანქანები 100 ათასზე მეტი თითისტარის საერთო რაოდენობით. ბევრი ავტომატური საქსოვი დაზგა მიიღეს ორეხოვის ბამბეულის კომბინატმა, მოსკოვის ფრუნზეს სახელობის, ისტომკინის, პავლოვო-პოკროვსკის, ლიკინის და სხვა ფაბრიკებმა. სულ მთავარი სამმართველოს საწარმოებში ახლა მოქმედებს 10 ათასზე მეტი საქსოვი ავტომატი.

წელს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ბამბეულის საწარმოთა ტექნიკა შეივსება გაუმჯობესებული მოწყობილობით ხაბლის დასამუშავებლად, სართავი და გამოსაყვანი წარმოებისათვის. ორეხოვის კომბინატში იდგმება ახალი გამფაშრებელი აგრეგატი, ერთპროცესიანი საწეწი მანქანები წმინდა ბეწვიანი ბამბის გადასამუშავებლად, აგრეთვე სართავი, საფთილავი, საჩეჩი და სალენტე მანქანები. ყოველივე ეს შესაძლებელს ხახდის გადიდდეს ნართისა და მზა ქსოვილების სადღეღამისო გამომუშავება.

ახალი საფეიქრო მანქანები იდგმება გლუხოვის კომბინატში, კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში“, ზანარსკისა და სხვა ფაბრიკებში.

გამოანგარიშებულია, რომ მოწინავე ტექნიკის დანერგვა, მოწყობილობის სიმძლავრეთა გადიდება, სართავ და საქსოვ წარმოებაში გადიდებული შეფუთვის გამოყენება შესაძლებელს გახდის ნართის საშუალო სადღეღამისო გამომუშავება მოსკოვის ბამბეულის მრეწველობის მთავარსამმართველოს ხაზით მეოთხე კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით გადიდდეს 16,5 ტონით და მზა ქსოვილებისა — 200 ათას მეტრზე მეტით. (საკდესი).

ჩვენი ქვეყნის თევზსარეწ აუზებში

საზამთრო თევზჭერა დასასრულს უახლოვდება. კასპიის ზღვაზე პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შესრულდა. დავალების დამატებით აქ დაიჭერენ რამდენიმე ათეულ ათას ცენტნერ ჭიჭყინანა და სხვა თევზს. მთელი წლის განმავლობაში იჭერენ თევზს საბჭოთა გემები ჩრდილოეთ ატლანტიკის წყლებში. ორნახევარ თვეში დაჭერილია 112 ათასი ცენტნერით მეტი ქაშაყი, ვიდრე შარშან ამ ხნის განმავლობაში. ბევრი ქაშაყი დაიჭირეს კვარტალური დავალების გადამეტებით ტრესტ „ბურმასნელდის“ მებადურებმა. სატრალერო ფლოტი ბარენცის ზღვაში წარმატებით იჭერს ვირთევზას. პირველი თვეების განმავლობაში დაჭერილია 160 ათასი ცენტნერით მეტი თევზი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

კამჩატკის ნაპირებთან სვიას იჭერენ შორეული აღმოსავლეთის აუზების მებადურები. მძლავრ რეფრიჟერატორებს თევზი ახლად გაყინული გადაქვთ ნავსადგურებსა და საკონსერვო ქარხნებში. სულ ჩვენი ქვეყნის აუზებში 15 მარტისთვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაჭერილია 550 ათასი ცენტნერით მეტი თევზი.

თევზსარეწი ფლოტი მომზადებულია საგაზაფხულო-საზაფხულო თევზჭერისათვის. იგი შეივსო ახალი გემებით და რეფრიჟერატორებით, სანავიგაციო ხელსაწყოებით. კასპიის ზღვასა და შორეულ აღმოსავლეთში დიდი რაოდენობით გამოიყენებენ ქარიშხალგამძლე ბადეებს, შავ ზღვაში სეინერთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღჭურვილია კონჭულა ბადეებით სტავრიდის დასაჭერად. თევზის მისაღებად მომზადებულია სანაპირო ბაზები. ეწყობა თევზის წინასწარ გასაცივებელი და იზოთერმულ ვაგონებში მისი შემდგომ გადასაზადი პუნქტები. (საკდესი).

გაზაფხული ყამირ მინებზე

სტავროპოლი. (საკდესი). სტავროპოლის მანიჩსპირა ველზე კასპიის ზღვიდან დაბერა ყარა-ყუმის თბილმა ქარმა. გაიზარდა, გამწვანდა ბალახი, საშემოდგომო პურის ყანებმა დაამშვენა მიწა. ყამირი მიწის ბელტებს ამრუნებს სახნისი, ხოლო შემოდგომიდან მომზადებულ მზრალად ნახნავს ფარცხავს ფოლადის კბილები, სათესი აგრეგატების ბასრი დისკოები.

გასულ წელს სტავროპოლის მხარეში მოხნული იქნა 240 ათასი ჰექტარი ყამირი. მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს აითვისონ კიდევ 116 ათასი ჰექტარი. ამ ფართობის მესამედი უკვე მოხნულია, მასთბრივად ითესება თავთავიანი კულტურები, ერთწლიანი ბალახები, ამზადებენ ნიადაგს სიმინდის დასათესად.

მეცხვარეობის მეურნეობანი მარცვლეულის მწარმოებელი დიდი მეურნეობანი ხდებიან. ახალი მიწების ათვისებით ერთიანად გადიდდა საშემოდგომო ხორბლის ნათესები. ერთიანთბად დიდდება საალრეო თავთავიანი კულტურების ფართობი.

ლითონის თვითღირებულების შემცირების გზები

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ყოველი საწარმოს მუშაობის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებელია. პარტია და საბჭოთა მთავრობა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

შავი მეტალურგიის საწარმოებში, სადაც დიდძალი ნედლეულისა და მასალის გადამუშავება და საწვავის გამოყენება ხდება, პროდუქციის ერთეულის მიხედვით თვითღირებულების თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით შემცირება უდიდეს გავლენას ახდენს საწარმოს მთელ ეკონომიკაზე.

მეტალურგიაში ლითონის მეტი რაოდენობით გამოშვება დამოკიდებულია აგრეგატების და დანადგარების უკეთესად გამოყენებაზე, ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებაზე, რომელთა შედეგად უნდა გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, მიღწეულ იქნას ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომია, ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი. თუ ასეთ ღონისძიებებს განვახორციელებთ, შრომის ნაყოფიერებას გავზრდით, რითაც მიღწეულ იქნება მეორე მთავარი ამოცანაც — პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში პროდუქციის (ე. ი. ლითონის) გამოშვება ყოველწლიურად იზრდება, მისი ერთეულის თვითღირებულებაც თანდათან მცირდება, თუმცა ქარხნის ზოგ საამქროში, მაგალითად, საბრძმედე და სამარტენე საამქროებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და საწვავის გადახარჯვას, წუნდებული ლითონის გამოშვებას, რაც ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევით აიხსნება.

ცნობილია, რომ ადგილობრივი რეზერვების გამოვლინება და გამოყენება დიდად აუმჯობესებს ყოველი საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი ძირითადი საამქროს —მილდამამზადებელი საამქროს კოლექტივის (უფროსი ვ. ქურდიანი) გამოცდილება. ეს საამქრო მილნამზადით ამარაგებს არა მარტო ამ ქარხანას, არამედ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სხვა მეტალურგიულ ქარხნებსაც.

მილდამამზადებელ საამქროში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა სხვადასხვა სიძნელეთა დაძლევა. მთავარი სიძნელე ის იყო, რომ მცირე პროფილის ნაწარმთა გაგლინვისას შრომის ნაყოფიერება მკვეთრად კლებულობდა, ირღვეოდა საწარმოო-ტექნიკური დისციპლინა. საამქროს მუშაობის ყველაზე „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენდა ნაწარმის გაგლინვა. მაცივრებში ჩაწყობილი ლითონის დროულად ამოღება ამწე მექანიზმების სიმცირის გამო არ ხერხდებოდა. ეს იწვევდა გაგლინვის გაჭიანურებას. ხშირად საგლინავ მალში გამოერეოდა ოთხკუთხი ნამზადი, რომელიც წვრილსორტულ საამქროში უნდა გადამუშავდეს. არსებული ტექნოლოგიის თანახმად, ასეთი ნამზადი საგლინავ მალიდან დანიშნულებისამებრ გასაგზავნად უნდა წაიღოს ე. წ. უკან დამბრუნებელმა ნაკადმა. მაგრამ ეს ნაკადი საამქროში გაუმართავი იყო, ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას, რაც დიდად აფერხებდა საამქროში შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ ტექნოლოგიური მოშლილობის შედეგი იყო, რომ 1954 წლის მეოთხე კვარტალში საამქრომ გეგმა ვერ შეასრულა, ყოველი ტონა ნაგლინის მიხედვით გადახარჯა 4 კილოგრამი ლითონი, 5 კილოგრამი საწვავი და საგრძნობი რაოდენობით ელექტროენერგია. სულ საამქროს მიერ გასული წლის მეოთხე კვარტალში გადახარჯული აღმოჩნდა 100 ათას მანეთზე მეტი თანხა.

საამქროს კოლექტივმა დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ მოეხდინა ყველა ამ ნაკლოვანების ლიკვიდაცია, გამოევლინებინა საამქროში არსებული რეზერვები. გაწეულმა შრომამ იმედები გაამართლა. 1954 წლის დეკემბერში საამქრომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. კიდევ უკეთესად წავიდა საქმე იანვარსა, თებერვალსა და მარტში, როდესაც მილმგლინავები საწარმოო დაკალებებს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებდნენ. საამქროს კოლექტივმა საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესა ხარისხი და იანვარში ერთი ტონა ნაგლინის მიხედვით ლითონის ხარჯვა შეამცირა 5 კილოგრამით, ელექტროენერგიისა — 4 კილოვატსაათით, საწვავისა — 9 კილოგრამით.

საამქრო ახლა უკვე რიტმულად მუშაობს, მტკიცედ მიდის აღმავლობის გზით. მოწესრიგებულ იქნა ამწე დანადგარების რაციონალური გამოყენების საკითხები, დაკვეთათა წინასწარი შეგროვების მეთხებით შესაძლებელი გახდა სამილე ლითონის უფრო ზუსტი დაჭრის განხორციელება. ამით შემცირდა ლითონის ჩამონაჭრების რაოდენობა და დანაკარგები, მოგვარებულ იქნა მცირე ჩამონაჭრების ხელახლა გაგლინვა პატარა პროფილებით, მოხდა ე. წ. მეთოდური ღუმელებისა და საკონტროლო-საზომი აპარატურის მუშაობის რეგულირება, რამაც გამოიწვია ლითონის გახურების გაადვილება, დანაკარგების ლიკვიდაცია და ლითონის თვითღირებულების საგრძნობლად შემცირება.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებას ხელი შეუწყო მილდამამზადებელი საამქროს წამყვანი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებამ. სანიმუშოდ მუშაობენ ახლა ცვლის უფროსი რ. რიჟამაძე, უფროსი ლითონმჭრელი ს. ხელაძე, ლითონამომკვეთელი ვ. იმნაძე, უფროსი ოპერატორები კოკაია და მდივნიშვილი, რომლებიც საწარმოო დავალებებს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებენ.

ლითონის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში მილდამამზადებელი საამქროს კოლექტივის გამოცდილება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა საწარმოს მუშაობის გაჯანსაღების მტკიცე საწინდარია.

ვ. სერედა,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი.

ჭიათურის რაიონში

საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობა

სოფელ ზოდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ტიპური პროექტით აეშენეს ადმინისტრაციული სახლი, სადაც მოთავსდება გამგეობა და ბუხჰალტერია. შენობის პირველი სართული დაითმო კოლმეურნეობის საწყობს. ახლახან დამთავრდა სოფელ ითხვისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის, ავტოგარაჟის და მარნის მშენებლობა. კანტორის შენობას ორი ოთახი შეემატა. კეთილმოწყობილი ოთახი დაითმო საკოლმეურნეო სასტუმროს. სოფელ წირქვალის ჟდანოვის სახელობის და სოფელ ეწერის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობებში აეშენეს სასოფლო კლუბები. თვითეული მათგანი 300 კაცს იტევს. სოფელ მერხეულურში, რომელიც რაიონის ცენტრს დაშორებულია 28 კილომეტრით. კეთილმოწყობილი სამშობიარო სახლი აშენდა.

ღვინის ქარხანა

კაცხში მიმდინარეობს ღვინის ქარხნის მშენებლობის უკანასკნელი სამუშაოები. მშენებლობა სამი მილიონი მანეთი დაჯდა.

ბინები პიროტყვისათვის

ითხვისის, ქვაციხის, ქვედა უსახელოს და წირქვალის კოლმეურნეობებში აშენდა სტანდარტული ბინები 500 სული ძროხისათვის. ნიგოზეთისა და ითხვისის კოლმეურნეობებში აშენდა ხაღორეები 100 სული ღორისათვის. წელს დამატებით აშენდება ბინები 500 სული მსხვილფეხა რქიანი პიროტყვისათვის, სახბორე — 100 სულისათვის, ხაქათმე—2.000 ფრთისათვის და ხალორე—100 სულისათვის.

საკვები ბაზის გადიდებისათვის

წელს რაიონის კოლმეურნეობებში პიროტყვის საკვები კულტურები დაითესება 900 ჰექტარზე, ნაცვლად 316 ჰექტარისა. კოლმეურნეობებში აშენდა 300 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები.

ჩაი 400 ჰექტარზე

კოლმეურნეებმა ჩაის კულტურა გააშენეს 400 ჰექტარზე. ამ ახალ კულტურას კარგი პირი უჩანს სოფლებში გეზრულში, ეწერსა და ქვაციხეში. პლანტაციების ნაწილი წელს პირველად მოგვცემს მწვანე ფოთოლს.

ჯ. ბიწიკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

45 მილიონი მანეთი შემოსავალი მოგების სახით

სისტემატურად იზრდება მშრომელთა შემოსავალი საბჭოეთის სესხების ობლიგაციებზე მოგებით. მარტო მიმდინარე წლის ორი თვის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა ობლიგაციებზე შემნახველი სალაროებიდან მიიღეს 45 მილიონ მანეთზე მეტი მოგება. თბილისის შემნახველმა სალაროებმა ამ ხნის განმავლობაში გასცეს თითქმის 15 მილიონი მანეთი, აფხაზეთის — 4 მილიონამდე, აჭარის — 3 მილიონამდე, ქუთაისის — 2,5 მილიონი მანეთი და სხვ.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მოწინავე მჭედელმა ე. კიკვიძემ ამ დღეებში ქუთაისის ცენტრალურ შემნახველ სალაროს წარუდგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის 100-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 25.000 მანეთი მოგება. უკანასკნელ ხანებში ქუთაისის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოდგენილია ბევრი ობლიგაცია, რომლებსაც ხვდათ 10.000, 5.000 და 1.000 მანეთი მოგება.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სახელმწიფო 3%-იანი მომგებიანი სესხი, რომლის მორიგი ტირაჟი გაიმართება 30 მარტს. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის ორნახევარ თვეში საქართველოს შემნახველმა სალაროებმა მოსახლეობას მიჰყიდეს ამ სესხის თითქმის 15 მილიონი მანეთის ობლიგაციები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

საბჭოთა პრესაში უკვე გამოცხადებული იყო, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში მოსალოდნელია ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ამ დღეებში ინდოეთის მთავრობასა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის გაიმართა აზრთა გაცვლა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ნერუს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის ორების საკითხზე.

შეთანხმებულია, რომ ბ-ნი ნერუ საბჭოთა კავშირში ჩამოვა მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში.

ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ

25 მარტს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმთან შედგა გაფართოებული თათბირი ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე სსრ კავშირში ხელმოწერის შეგროვების კამპანიის საკითხის შესახებ.

თათბირს დაესწრნენ წითელი ჯვრის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები, აგრეთვე წითელი ჯვრის მსხვილი პირველადი ორგანიზაციების: სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ქარხნის, მაუდ-კამოლის კომბინატის, სატრიკოტაჟო კომბინატის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, კარტოგრაფიული ფაბრიკის და სხვა ორგანიზაციების თავმჯდომარეები.

თათბირის მონაწილეებმა დაგმეს ომის გამჩაღებლები, ერთსულოვნად მოიწონეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადება და მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების წევრები ღრმად არიან აღშფოთებულნი ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტი აგრესორების დანაშაულებრივი მოქმედებით, რომელიც მიმართულია ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ, ამ ომში ატომური და წყალბადის იარაღის და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა გამოყენებისაკენ.

საბჭოთა ადამიანები ეწევიან მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას და წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, ახმარენ რა მთელ თავიანთ ძალებს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. წითელი ჯვრის საზოგადოების წევრები, აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო მშენებლობაში და შეუპოვრად იბრძვიან მშვიდობისათვის, გამოდიან იმპერიალისტური აგრესიული ძალების ხრიკების წინააღმდეგ.

საბჭოთა წითელი ჯვრის ყველა წევრი გამსჭვალულია ომისაგან კაცობრიობის დაცვის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ბრძოლის ჰუმანური პრინციპებით და ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მტკიცე პროტესტს აცხადებს ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ, მოითხოვს ატომური და წყალბადის იარაღის მოსპობას, მოითხოვს, რომ ატომური ენერგია ემსახურებოდეს ადამიანთა კეთილდღეობას და არა მათი სიცოცხლის მოსპობას.

საბჭოთა ხალხს არ ეშინია ატომური შანტაჟისა. იგი დარწმუნებულია, რომ ყოველი ავანტიურა და ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება აგრესორის განადგურებით დამთავრდება.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ყველა წევრს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას.

დარწმუნებული ვართ, რომ წითელი ჯვრის საზოგადოების ყველა წევრი თავის ხელმოწერას განამტკიცებს ახალი შრომითი გმირობით წარმოებაში და მიღწევებით მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და ჩვენი ქვეყნის სანიტარული თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის

ჩვენ, ტყიბულელ მეშახტეებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, გვძულს ომი და გვიყვარს მშვიდობა. სულით და გულით ვუჭერთ მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას, მტკიცედ მოვითხოვთ ატომური იარაღისა და ხალხთა მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვას, რეკანშისტული გერმანიის აღდგენაზე უარის თქმას.

მე ძველი მეშახტე ვარ და კარგად მახსოვს წყეული წარსული. თვალწინ მიდგას რევოლუციამდელი ტყიბულის ტალახიანი ქუჩები, სამიკიტნოები, ღარიბული ქოხმახები. სიდუხჭირე და სიღატაკე მეფობდა მაშინ მეშახტეთა დაბაში.

შეხედეთ ახლა ჩვენს ქალაქს. აქ ყველაფერი შეიცვალა. მისი მიდამოები დამშვენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, კულტურული დაწესებულებებით, სკოლებით. გაყვანილია ახალი ქუჩები, მოეწყო ახალი მოედნები, რომლებიც დამშვენებულია ლამპიონებითა და გაზონებით. დიდი მშენებლობა მიმდინარეობს ამყამად: საითაც უნდა გაიხედოთ, ხარაჩოების ტყე მოჩანს.

და განა იმიტომ ვაშენებთ, რომ კვლავ დაინგრეს? არა, ჩვენ ომი არ გვინდა. კარგად ვიცით, რა მოსდევს ომს. ამიტომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დაინტერესებული ვართ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით. ამიტომ არის, რომ ერთსულოვნად ვიწონებთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ვენის სესიის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

მაგრამ ატომური იარაღის აკრძალვის მოთხოვნა ჩვენს სისუსტეს როდი მოწმობს. ჩვენს ქვეყანას, რომელმაც თავისი ძალიერება და უძლეველობა არაერთხელ დაუმტკიცა თავხედ აგრესორებს, არ ეშინია იმპერიალისტების ატომური შანტაჟისა.

ჩვენ, ტყიბულელი მეშახტეები, ყოველდღიურად ვაძლიერებთ მუშაობას რაც შეიძლება მეტი ქვანახშირის ამოღებისათვის და მტკიცედ მოვითხოვთ:

— აიკრძალოს ატომური და ადამიანთა მოსპობის სხვა იარაღი, ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის, კაცობრიობის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ.

ჯ. ჯელიშვილი,
საპატიო მეშახტე, სოციალისტური შრომის გმირი.

სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სემინარი

ახალციხე. (საკ. კორ.). რაისაბჭოს აღმასკომმა და პარტიის რაიკომმა მოაწყეს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ორდღიანი სემინარი. მეცადინეობა მიმდინარეობდა ორ ჯგუფად — ქართულ და სომხურ ენებზე.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექცია-მოხსენებანი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხზე, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის — 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ს. კაკაჩიშვილის მოხსენება კარტოფილის უხვი მოსავლის მიღების საქმეში კოლმეურნეობის გამოცდილების შესახებ.

კონსულტაცია

კონტროლი და დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი

კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს კადრების, კომუნისტების მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა კომუნისტებთან ყოველდღიური, დაუღალავი მუშაობით მიაღწიონ მათი იდეური შეგნებულობის დონის შემდგომ ამაღლებას.

უკანასკნელ წლებში პარტიულმა ორგანიზაციებმა მდიდარი გამოცდილება შეიძინეს კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლების საქმეში. პარტია სასტიკად გმობს პარტიული სწავლების რეგლამენტაციას, პოლიტსკოლებსა და წრეებში კომუნისტების ხელაღებით ჩაბმის პრაქტიკას. ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეები შეგაიარაღოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიით, რათა მათ შეეძლოთ საქმის ღრმა ცოდნით იბრძოლონ პარტიის მიერ გამომუშავებული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების ძირითადი მეთოდი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობაა. მიმდინარე სასწავლო წელს, როდესაც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს პარტიული ორგანიზაციების დახმარება პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეებისადმი.

გასაგებია, რომ კომუნისტთა მომზადების დონე ერთნაირი არ არის და ამიტომ შეუძლებელიც არის ყველამ ერთი და იმავე სახისა და მოცულობის მასალის შესწავლა გაითვალისწინოს. ბევრი მათგანი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდით სწავლობს დაბმარე სახელმძღვანელოს „პოლიტსკოლის მსმენელთა დასახმარებლად“, ხოლო უფრო მეტი მომზადების კომუნისტები — სკკპ ისტორიის „მოკლე კურსს“, კრებულს „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეულ ნაშრომებს, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, პოლიტიკურ ეკონომიას, აგრეთვე ისმენენ ლექციების ციკლს ან ეპიზოდურ ლექციებს იმ საკითხებზე, რომელთაც ისინი სწავლობენ.

წინა წლებში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს, მიუხედავად მათი სურვილისა, ყველას კონსულტანტს ამაგრებდნენ. ძიმდინარე სასწავლო წელს კონსულტანტის სავალდებულო მიმაგრების პრაქტიკა უარყოფილია. პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეებისადმი დიფერენცირებული, გულისხმიერი მიდგომაა საჭირო. იმ კომუნისტებს, რომლებმაც გასულ წელს დაამთავრეს პოლიტსკოლები და წრეები და ამჟამად დამოუკიდებლად სწავლობენ „პოლიტსკოლის მსმენელთა დასახმარებლად“ განკუთვნილ სახელმძღვანელოს ან სკკპ ისტორიის „მოკლე კურსს“, პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი კონკრეტული დახმარება და კონტროლი უნდა გაუწიონ, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არა აქვთ გამომუშავებული წიგნზე დამოუკიდებლად მუშობის საკმაო ჩვევა. კონსულტანტი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში კონსულტაციებისა და საუბრების მოწყობით არსებით დახმარებას უნდა უწევდეს პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეებს გათვალისწინებული მასალის შესწავლის დროს წამოჭრილი საკითხების განმარტებაში.

მიმდინარე სასწავლო წელს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კონსულტანტები მიამაგრეს იმ კომუნისტებს, რომლებმაც ამის სურვილი გამოთქვეს და ნამდვილად ესაჭიროებათ საკონსულტაციო დახმარება. თუ კომუნისტი სისტემატურად სწავლობს და იმაღლებს ცოდნას, არ შეიძლება მის წინაშე არ წამოიჭრას რაიმე საკითხი, რომელიც გავლილ მასალასთან ან თანადროულობასთან იქნება დაკავშირებული და რომლის სწორად გაგებისათვის საჭირო იქნება კონსულტანტის დახმარება. კომუნისტი საჭიროებისამებრ უნდა მიდიოდეს კონსულტანტთან და იღებდეს კონსულტაციას მისთვის გაუგებარ საკითხებზე, თავის მხრივ კონსულტანტი ვალდებულია იცოდეს, თუ რა თემებზე მუშაობენ მასზე მიმაგრებული კომუნისტები, და საჭირო დახმარებას უწევდეს მათ. კონსულტანტმა უნდა იცოდეს თვითეული კომუნისტის თეორიული მოამზადების დონე, რა საკითხზე მუშაობს, სისტემატურად კითხულობს თუ არა ჟურნალ-გაზეთებს, ესწრება თუ არა ლექციებს და შემოქმედებითად იყენებს თუ არა შეძენილ ცოდნას. ამისათვის საჭიროა კონსულტანტი ხშირად ხვდებოდეს მიმაგრებულ კომუნისტებს. ყველა საშუალებისა და ხერხის გამოყენებით იგი უნდა აღწევდეს იმას, რომ კომუნისტები სისტემატურად იმაღლებდნენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს.

კომუნისტებს, რომლებიც გასულ წლებში წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდით იმაღლებდნენ პოლიტიკური ცოდნის დონეს, ან პარტიის ისტორიის შემსწავლელ მაღალი ტიპის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეებში, ან თეორიულ სემინარებში მეცადინეობდნენ, თუ კი ისინი ამას არ მოითხოვენ, შეიძლება არ გამოვუყოთ კონსულტანტები.

პარტიული ორგანიზაციები და მისი მდივნები უშუალოდ ხელმძღვანელობენ კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლების საქმეს. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები სისტემატურ დახმარებას უნდა უწევდნენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებს ინდივიდუალური გაკვეთილების, კომუნისტებისათვის საინტერესო ცალკეულ თემებზე საუბრების, თეორიული კონფერენციების, კვალიფიციური ლექციებისა და კონსულტაციების მოწყობით, რეფერატების წაკითხვით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს პოლიტიკური განათლებისადმი კომუნისტების ინტერესის გაძლიერებას.

პარტიული სწავლების ხარისხი ყველაზე მეტად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აამაღლებენ პარტიული ორგანიზაციები იდეოლოგიური მუშაობის დონეს, როგორ გაუღვიძებენ კომუნისტებს ინტერესს რევოლუციური თეორიისადმი.

სადაც პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენს კომუნისტთა პოლიტიკური განათლებისადმი, იქ საქმეც კარგად მიდის. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა პარტორგანიზაციის მდივანი თავის დაზღვევის მიზნით აცხადებს, წიგნზე ამდენი და ამდენი კომუნისტი დამოუკიდებლად მუშაობსო, ფაქტიურად კი ისინი არაფერს არ აკეთებენ, ნაკლებად კითხულობენ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, იშვიათად ესწრებიან ლექციებსა და მოხსენებებს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა პარტორგანიზაციამ და მისმა მდივანმა კომუნისტებს მოსთხოვონ საწესდებო მოვალეობის შესრულება.

ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ არასწორად გაიგო კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლებისადმი პარტიული კონტროლის განხორციელების საკითხი. პარტორგანიზაცია არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კომუნისტების სურვილის გათვალისწინებით მოაწყოს იმის აღრიცხვა, თუ პარტიული განათლების რომელ ფორმაში იმეცადინებენ ისინი, და საქმეც ამით დაამთავროს, სისტემატური კონტროლი და დახმარება კი დავიწყოს.

კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლებისადმი კონტროლი უნდა განხორციელდეს პარტიული მუშაობის მთელ პროცესში. კონტროლის გასაწევად საჭირო არ არის რაღაც კამპანიური, მასობრივი გამოკითხვის მოწყობა, როცა მოითხოვენ შესწავლილი მასალების მიხედვით კონსპექტების წარმოდგენას და თვით გასაუბრებაც გამოცდების ხასიათს იღებს. პარტიული კონტროლის ასეთი მიუღებელი მეთოდების გამოყენება არ დაგვჭირდება მაშინ, თუ პარტიულო კარგად არის დაკავშირებული კომუნისტებთან, იცის თვითეულის სულიერი მოთხოვნა — რას კითხულობს, რა უფრო აინტერესებს, რა საკითხში უფრო მეტად საჭიროებს დახმარებას და სხვ.

ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი არასწორად ფიქრობს, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი კონტროლს და დახმარების ერთადერთი ფორმაა გასაუბრება. რა თქმა უნდა, პერიოდულად ასეთი გასაუბრების მოწყობა საჭიროა, მაგრამ არის კონტროლის გაწევის სხვა საშუალებებიც, რაც უნარიანად უნდა იქნას გამოყენებული. კონტროლის გაწევა იმას ნიშნავს, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ იცოდეს, ესა თუ ის კომუნისტი როგორ მუშაობს თავის თავზე. ამისათვის კი ხაჭიროა ვიცოდეთ რა მონაწილეობას იღებს იგი საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტი სისტემატურად გამოდის ლექციებით, მოხსენებებით პოლიტიკურ საკითხებზე, მონაწილეობს თეორიულ გასაუბრებაში, ამზადებს რეფერატებს, მოწინავეა თავის სამუშაოზე, ეს ნიშნავს, რომ იგი სერიოზულად ზრუნავს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად.

მუშაობის პროცესში პარტორგანიზაციის მდივანი უნდა ამჩნევდეს იმ კომუნისტებს, რომლებიც არ იჩენენ ინტერესს რევოლუციური თეორიისადმი, ბეჯითად არ მუშაობენ თავიანთ თავზე. აუცილებელია ასეთ კომუნისტებთან გასაუბრება, პოლიტიკური სწავლებით მათი დაინტერესება. მათ უნდა ვუჩჩიოთ, როგორ მოაწყონ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, დამაჯერებლად ავუხსნათ, თუ რატომ არის საჭირო მუშაობაში სისტემატურობა.

საჭიროა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ პარტიულმა ბიბლიოთეკებმა, მორიგე კონსულტანტებმა. კონსულტანტების მორიგეობა პარტიულ ბიბლიოთეკაში შეიძლება დაწესდეს როგორც დილის, ისე საღამოს საათებში. კონსულტაციისათვის დროისა და საათების რაოდენობის გამოყოფა დამოკიდებულია რაიონის ან ქალაქის თავისებურებაზე. მაგალითად, ისეთ სამრეწველო ქალაქებში, როგორიც არის თბილისი, რუსთავი, ტყიბული, ტყვარჩელი და სხვა, კონსულტანტის მორიგეობა შეიძლება დაწესდეს როგორც დილის, ისე საღამოს საათებში, რადგან აღნიშნული ქალაქების საწარმოებში მუშაობა ორ-სამ ცვლადაა. უმრავლეს პარტიულ ბიბლიოთეკებთან კონსულტანტთა მორიგეობა შეიძლება მოეწყოს მარტო საღამოს საათებში. საკონსულტაციო დღეებად პარტიის ისტორიაში, ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში შეიძლება გამოიყოს კვირაში ერთი ან ორი დღე. პარტიულ ბიბლიოთეკების მორიგე კონსულტანტები კონსულტაციას გაუწევენ როგორც რაიონის ცენტრში მყოფ, ისე სოფლებიდან ჩამოსულ კომუნისტებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეასუსტონ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი კონტროლი და დახმარება, სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ პარტიულ კრებებზე და პარტბიუროს სხდომებზე პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი დახმარებისა და კონტროლის ყველა ნაკადი ფორმა უნდა დამოვიყენოთ იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას.

ა. კევლიშვილი,
საქ. კპ ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი.

გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო კადრების მომზადება

სოფლის მეურნეობისადმი კვალიფიციური ხელმძღვანელობა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ხელმძღვანელი სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ საკოლმეურნეო კადრების აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განუწყვეტელ ზრუნვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტი უბნების განმტკიცებას მცოდნე, მაღალკვალიფიციური კადრებით.

ხელმძღვანელობენ რა მშობლიური კომუნისტური პარტიის მითითებებით, ქობულეთის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები აუმჯობესებენ ზრუნვას საკოლმეურნეო კადრების აღზრდა-მომზადებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ისეთ საშუალებას, როგორიც არის სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსები. რაიონში დღეისათვის შექმნილია 53 ასეთი კურსები. მათში 730 კოლმეურნე სწავლობს. კურსების უმრავლესობა ნაყოფიერად მუშაობს და მსმენელებს აძლევს გარკვეულ ზოოტექნიკურ მომზადებას. კარგი მუშაობით გამოირჩევიან სოფელ ფიქვნარის მარქსის, ბობოყვათის მოლოტოვის, დაგვის ვოროშილოვის, ქვედა ულიანოვკის კალინინისა და ორჯონიკიძის, ჩაისუბნის ლენინის სახელობისა და ზოგიერთი სხვა სოფლის კოლმეურნეობასთან არსებული კურსები. აღნიშნულ კურსებზე მეცადინეობა მაღალ დონეზე ეწყობა. პროგრამით გათვალისწინებული მასალების შესწავლა მჭიდროდ უკავშირდება საკოლმეურნეო წარმოების კონკრეტულ ამოცანებს. მსმენელები საფუძვლიანად სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

სამწუხაროდ, ყველგან როდი აფასებენ ამ კურსების მნიშვნელობას საკოლმეურნეო კადრების მომზადების საქმისათვის. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ სოფელ ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში კურსების მუშაობა თითქმის ჩაიშალა. საჭირო გახდა მკვეთრი ზომების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაისაბჭოს აღმასკომმა სპეციალურად განიხილა აღნიშნული კურსების მუშაობის საკითხი. კურსების ხელმძღვანელი შეიცვალა. ახლა მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორებულია.

სუსტად მუშაობენ კურსები კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმაში“, ტელმანის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში.

საკოლმეურნეო კადრების მომზადების, კერძოდ აგროზოოტექნიკური კურსების მუშაობის საკითხები ხშირად ხდება პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგანად. დასახულ ღონისძიებათა განხორციელება გვეხმარება მუშაობის გაუმჯობესებაში.

გასულ წელს ზოგიერთ კოლმეურნეობასთან არსებულმა კურსებმა წარმატებით დაამთავრეს მუშაობა. მომზადებულ იქნა 300-მდე კაცი. მათგან 60 ამხანაგი მუშაობს კოლმეურნეობათა ბრიგადირებად, მერგოლურეზად, ფერმების გამგეებად და კარგადაც უძღვება საქმეს.

ჩვენი რაიონის ბევრი კოლმეურნე კვალიფიკაციას იმაღლებს სასოფლო-სამეურნეო და საკოლმეურნეო სკოლებში, სასწავლებლებში. მაგალითად, წულუკიძის მექანიზაციის სკოლაში 6 კოლმეურნეა გაგზავნილი. გასულ წელს ეს სკოლა 7 კაცმა დაამთავრა, მათგან 5 ქობულეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მუშაობს ტრაქტორისტებად და ტრაქტორის მომბმელებად. საგურამოს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სწავლობენ სოფელ კვირიკეს „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი ა. მესხიძე და სოფელ ლედვას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ს. წულუკიძე. აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებული რამდენიმე ამხანაგი გამოყენებულია ხელმძღვანელ საკოლმეურნეო სამუშაოზე. მაგალითად, მ. ნოღაიდელი მუშაობს კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმის“ თავმჯდომარედ, დ. ხარაზი — კვირიკეს გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის აგრონომად, ე. კირჩხელი — სოფელ ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირად.

კოლმეურნეობათა ათობით თავმჯდომარე, ბრიგადირი, მერგოლური და რიგითი კოლმეურნე დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მარტო აჭყვისთავის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობიდან 7 ამხანაგი მეცადინეობს ამ ინსტიტუტში. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ბალაძე მეოთხე კურსზე სწავლობს. წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ამთავრებს სოფელ კვირიკეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი მოწინავე ჩაის მკრეფავი, სოციალისტური შრომის გმირი ნათელა ჩელებაძე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი კვლავ მშობლიურ კოლმეურნეობას დაუბრუნდება. ამავე ინსტიტუტში სწავლობენ ქობულეთის მტს-ის მუშაკები გორდელაძე, მემარნე, ბეჟანიძე, ბაჯელაძე, აბდუშელიძე და სხვები. საკოლმეურნეო კადრებს ამზადებს მწვანე კონცხის სუბტროპიკული კულტურების ტექნიკუმიც.

ის მუშაობა, რაც ჩვენს რაიონში მიმდინარეობს საკოლმეურნეო კადრების აღზრდისა და მომზადებისათვის, საკმაო არ არის. იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილება მკვეთრად მოითხოვს სოფლის მეურნეობის კადრების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის ზრუნვის გაძლიერებას.

ჩვენ გადაჭრით გავაუმჯობესებთ მუშაობას ამ მხრივ, უზრუნველყოფთ რაიონის ყველა კოლმეურნეობას მაღალკვალიფიციური კადრებით.

ლ. წულუკიძე,
ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ლიტერატურა და ხელოვნება

გაიხსნა ვასო აბაშიძის ძეგლი

27 მარტს თბილისში საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მთაწმინდაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ქართველი მსახიობის ვ. აბაშიძის ძეგლი.

ვ. აბაშიძის საფლავზე შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, საქართველოს კულტურის მოღვაწენი.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა შ. დადიანმა. სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ, სომხეთის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელმა ს. არუთინიანმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა შ. ღამბაშიძემ და სხვებმა. პოეტმა ი. გრიშაშვილმა წაიკითხა ვ. აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი. მიტინგზე წაიკითხეს მოსკოვის, კიევის, ერევნის და სხვა ქალაქების თეატრალურ კოლექტივთა დეპეშები.

ვ. აბაშიძის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს.

ვ. აბაშიძის ბიუსტი გამოკვეთილია ეკლარის თეორი ქვისაგან და აღმართულია შავი მარმარილოს კვარცხლბეკზე. ძეგლის ავტორები არიან ი. კერესელიძე და ი. ყანდაშვილი.

(საქ. ფოსა).

სურათზე: ვასო აბაშიძის ძეგლის გახსნა მთაწმინდაზე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ვ. აბაშიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა ამ დღეებში გამართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ვასო აბაშიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

ვ. აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ფალავა, ხოლო მოგონებებით — პროფესორი გ. ახვლედიანი, მწერალი გ. ქიქოძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ვასაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ტ. აბაშიძე და ნ. გვარაძე.

თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებმა ლ. ჭავჭავაძემ და ნ. მარგველაშვილმა წაიკითხეს ვ. აბაშიძის ციტირებებზე წარმოთქმული სიტყვები, მისალმებები, ლექსები, დასასრულებები და სხვ.

აფხაზეთის მხატვართა გამოფენა

სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის მხატვართა 1955 წლის გამოფენა, რომელზეც მდიდრად არის წარმოდგენილი ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, დეკორაციული და სხვა სახის ესკიზები.

ყურადღებას იპყრობს მხატვარ ვ. ცომაიას ფერწერა — „მეთევზეები“ და „ტტოუდები“, ნ. თამუკაშვილის „ზათა მშენებლობა სოფლად“ და „აფხაზეთის პიონერები“, ჭ. კუკულაძის „პარტიზანები“, ფანქრით ნახატი „მწყემსები“ და დ. დუდუჩავას წყვნის „სისონას“ ილუსტრაციები, ვ. შჩეგლოვის „მთის პიონერი“ და „ჩელის დამკვრელი გოგონა“, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ყაზბეგისა და ა. ვერულეიშვილის დეკორაციული ესკიზები.

მოქანდაკეებმა ს. რაზმაძემ და ზ. ღოღობერიძემ წარმოადგინეს აკადემიკოს პავლოვის, ზაქარია ფალიაშვილის და აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას ქანდაკებათა ესკიზები.

კარგია ავრეთვე ო. ბერენდელის „ზღვის პიონერები“, გ. ზედგინიძის, შჩეგლოვ-ტროიცკაიას და სხვა ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრები.

გამოფენა შემდეგ გადატანილ იქნება აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებში.

სანიტარული კულტურის თეატრში

სანიტარული კულტურის თეატრმა პლეხანოვის სახელობის კლუბში მაყურებელს უჩვენა მორიგი ახალი სპექტაკლი — რ. ყენინის კომედია „ბარდაბარ“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა პიესის ავტორმა, თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომანტმა რ. ყენინამ, მხატვრობა — ა. გოლოვმა, მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. მელეთნეთ-უხუცესს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ც. მეძმარიაშვილი, აპარის ასსრ დამსახურებული არტისტი ი. სარჯველაძე, მსახიობები შ. კიკნაძე, გ. თალაკვაძე, ც. მჭედლიშვილი, გ. ბუხრაშვილი, გ. ტალიკაძე, ი. როსტომიშვილი, ზ. ბერძენიშვილი, თ. ფერაძე, ლ. ტომარაძე.

ახალი სპექტაკლი

გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ო. ანდრონიკაშვილის კომედია „თამარის ბეჭედი“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ვ. ფაჩულიას, მხატვრობა — გ. არჩუაძეს, მუსიკა — ს. მირიანაშვილს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ერისთავი, მსახიობები ო. ლომაძე, ა. კალანდარიშვილი, რ. ლორთქიფანიძე, ვ. მაზმიშვილი, რ. ცაბაძე, ვ. კახნიაშვილი, ზ. ღონღაძე, შ. რამანიშვილი, გ. გურასპაშვილი.

გათუმის სახელმწიფო თეატრში

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პ. ლორიას ახალი პიესა „დინარა“.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ ა. მგელაძე, ნ. თეთრაძე, ხ. მეგრელიძე, ა. გარნელი, გ. ინანიშვილი, პ. ინწკირველი, ა. კიკალეიშვილი, გ. დოღონაძე, თ. სულხანიშვილი.

პიესა დადგა რეჟისორმა გ. მრავლაძემ, მხატვრობა ეკუთვნის ა. ფილიპოვს, მუსიკალური გაფორმება — რ. გოგნიაშვილს.

უცხოეთის გამოხმაურება

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის პასუხზე საკდესის კორესპონდენტისადმი

ნიუ-იორკი, 27 მარტი. (საკდესი). გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“, „ნიუ-იორკ ჯორნელ-ამერიკენი“ პირველ გვერდზე მსხვილი სათაურებით ათავსებენ ცნობებს საკდესის კორესპონდენტის კითხვაზე ნ. ა. ბულგანინის პასუხის შესახებ.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სამ სვეტზე აწყობილი სათაურით წერს: „საბჭოთა ქვეყანა კეთილმოსურნედ ეკიდება შეერთებულ შტატებში წამოყენებულ იდეას 4 სახელმწიფოს მოლაპარაკების შესახებ. ბულგანინი ლაპარაკობს დაძაბულობის შენელების შესაძლებლობაზე“. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ სათაურში წერს, რომ „ბულგანინი იწონებს ეიზენჰაუერის აზრს დიდი ოთხეულის შესახებ“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ-ამერიკენი“ სათაურში აღნიშნავს, რომ „შეერთებული შტატები ფრთხილად ეკიდებიან განცხადებას ომის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება“.

იუნაიტედ პრესის კორესპონდენტ გონსალესის განცხადებით, ამერიკის ოფიციალური პირები არ იჩენენ მეტისმეტ ოპტიმიზმს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ეზელი ვაშინგტონიდან გამოგზავნილ ცნობაში ამტკიცებს: „შეერთებული შტატები დაუყოვნებლივ მიესალმნენ დღეს საბჭოთა კავშირის „პოზიტიურ პოზიციას“ ოთხი საელჩოფოს თათბირის საკითხში. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის თავის ფირმაში გეტისბურგში (პენსილვანიის შტატი) და თეთრ სახლს კომენტარი არ გაუკეთებიათ პრემიერ ნ. ა. ბულგანინის განცხადებისათვის, რომელიც მან მოსკოვში გააკეთა. მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტი მაღლ და დადებითად გამოეხმაურა“.

კორესპონდენტს მოჰყავს სენატორ ჯორჯის სიტყვები, რომ ბულგანინის განცხადება იმას მოწმობს, რომ იგი მზად არის განიხილოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი ორნერი ვაშინგტონიდან გამოგზავნილ ცნობაში წერს, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტი მაღე, მაგრამ მეტად ფრთხილად გამოეხმაურა განცხადებას, რომელიც მოსკოვში გააკეთა საბჭოთა პრემიერ-მინისტრმა ბულგანინმა“.

ვაშინგტონიდან გამოგზავნილ ცნობაში ასოშიეიტედ პრესის საგანგებო კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დემოკრატმა რიჩარდსმა (საბჭოთა კავშირის შტატიდან) განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა „მოეწვიათ ახალი კონფერენცია რუსეთის მონაწილეობით“.

დიდ საელჩოფოთა მოლაპარაკების იდეაზე უარყოფითი აზრი გამოთქვეს კონგრესმენებმა ვორისმა და ჰიკენლუპერმა.

ლონდონი, 27 მარტი. (საკდესი). როგორც რეუტერის საგანგებო ცნობიდან ჩანს, ინგლისის ოფიციალურ წრეებში მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა პრემიერ-მინისტრის ნ. ა. ბულგანინის დადებითის გამოხმაურებას პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ შეიძლება მოეწყოს კონფერენცია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მოიწონა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადება, აღნიშნა რა, რომ 14 მარტს ანტონი იდენმა ინგლისის თემთა პალატაში განაცხადა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ ინგლისი არათუ მზად იქნება ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებისათვის, არამედ კიდეკაც ეცდება მოეწყოს ასეთი მოლაპარაკება.

ლონდონი, 27 მარტი. (საკდესი). როგორც რეუტერის საგანგებო ინფორმაციიდან ჩანს, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისი მიესალმება საფრანგეთის პრემიერის ედგარ ფორის წინადადებას იმის შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა სცადონ მოეწყოს თათბირი საბჭოთა მთავრობის მონაწილეობით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს „სავსებით ეთანხმება“ ინგლისის მთავრობის პოლიტიკას.

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). დღეგანდელმა გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნეს ცნობა, თუ რა პასუხი გასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა საკდესის კორესპონდენტის კითხვაზე დიდი სახელმწიფოების თათბირის მოწვევის შესახებ.

გაზეთებს ეს განცხადება მიაჩნიათ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტად.

გაზეთი „ლუმანიტე — დიმანში“ პირველ გვერდზე წერს:

„ბულგანინი დათანხმდა მოეწყოს დიდი სახელმწიფოების კონფერენცია, თუ იგი განიხილავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხს. ავსტრიის საკითხი უკვე ახლა შეიძლება გადაწყდეს“. გაზეთმა გამოაქვეყნა ნ. ა. ბულგანინის პასუხის სრული ტექსტი.

გაზეთი „ჟურნალ დიუ დიმანში“ მთელ პირველ გვერდზე წერს: „უპასუხა რა ეიზენჰაუერის განცხადებაზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბულგანინმა აღნიშნა: მოსკოვი თანახმაა მოეწყოს ოთხი საელჩოფოს თათბირი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადება „ახალი და მეტად დიდნაწილელოვანი ელემენტია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგის ძიებაში“ და რომ დიდი სახელმწიფოების თათბირის იდეას, რომელიც გამოთქვა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, მოსკოვი „დადებითად ეკიდება“.

ვენა, 27 მარტი. (საკდესი). ყველა დღეგანდელი გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხს საკდესის კორესპონდენტის კითხვაზე. ამ საკითხზე ეს ბოლოდროინდელი ინფორმაციაა ყველაზე მეტად ინტერესებს ავსტრიის საკითხი. ავსტრიელ ხალხს ეს ინფორმაცია ეუბნებოდა, ამბობდა, ეს ინფორმაცია ეუბნებოდა, ეს ინფორმაცია ეუბნებოდა, ეს ინფორმაცია ეუბნებო

მზადება საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა კონფერენციისათვის

დელი, 28 მარტი. (საკდესი). 6-დან 10 აპრილამდე დელში გაიმართება საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საკითხთა აზიის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აზიის ცამეტი ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, ბირმისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დელეგაციები.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური იქნება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი, ჩინეთის დელეგაციის მეთაური — ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე გო მო-ჟო. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოვა დელეგაცია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრის პაკ დენ აის მეთაურობით.

შეიქმნა კონფერენციისათვის მზადების საერთაშორისო სამდივნო, რომელშიც შედიან სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, იაპონიის, ცეილონისა და სირიის წარმომადგენლები.

როგორც გაზეთი „დეილი ტაიმსი" წერს, კონფერენციის მიზანია აზრთა გაცვლა იმ პრობლემებზე, რომლებიც აზიის ქვეყნებს ეხება. დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იქნება ჯოუ ენ-ლაის და ნერუს ერთობლივ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის განხილვა.

კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა და ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი კონტროლის დაწესება. ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება;

2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მისი კანონიერი ადგილის მინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში;

3. კორეის მშვიდობიანი გაერთიანება;

4. კოლონიალიზმი და უცხოთის ჩარევა აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

5. სამხედრო კავშირებსა და პაქტებში მონაწილეობის საშიშროება აზიის ქვეყნებისათვის. აზიაში უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნის საშიშროება;

6. დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაცია აზიის ქვეყნებს შორის;

7. სავაჭრო ურთიერთობის განვითარება აზიის სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე და მთელი რიგი სხვა საკითხები.

ინდოეთის პრესა აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონფერენციას აზიის მშვიდობის საქმისათვის. მაგალითად, ყოველკვირეული „ნიუ ეიჯი" წერს: „ეს ისტორიული კონფერენცია, რომელიც დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აზიის ქვეყნების მშვიდობისა და ურთიერთმაგების განმტკიცების საქმეში, დიდ ინტერესს იწვევს ამ ქვეყნების სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ ჯგუფებში", „ნიუ ეიჯი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აზიის ხალხები დიდ იმედებს ამყარებენ დელის კონფერენციაზე და რწმენას გამოთქვამენ, რომ იგი ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას ამ რაიონში.

კოვენტრიში ჩავიდა სტალინგრადის საქალაქო საბჭოს დელეგაცია

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). გუშინ კოვენტრიში ჩავიდა სტალინგრადის საქალაქო საბჭოს დელეგაცია, რომელიც ინგლისში იმყოფება კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს მოწვევით.

კოვენტრიში ჩასვლისას სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დელეგაციის მეთაურმა შაპუროვმა პრეს-კონფერენცია გამართა ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებისათვის.

კამათის გამო საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). დღეს დილით ოთხი დღის კამათის შემდეგ რესპუბლიკის საბჭომ მოიწონა პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ.

ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს, პარლამენტის მეორე პალატამ მიიღო მთავრობის ზემოქმედებით და იმ უძლიერესი ზეგავლენის შედეგად, რომელიც საფრანგეთზე მოახდინეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხელმძღვანელმა წრეებმა.

როგორც კენენსურამ და კამათის მთელმა მსვლელობამ ცხადყო, დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისადმი დამოკიდებულების საკითხმა დიდი განხეთქილება გამოიწვია თითქმის ყველა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ დაჯგუფებაში. ბევრი მემარჯვენე სენატორის გამოსვლამ ცხადყო, რომ ისინიც კი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ საფრანგეთის ხალხის მასების ნებას, რომელნიც მტიკიცე პროტესტს აცხადებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. კამათის მსვლელობაში მეორე პალატის მხოლოდ რამდენიმე წევრმა გაბედა პირდაპირ დაეცვა პარიზის სამხედრო შეთანხმებანი. ის სენატორებიც კი, რომელებმაც მხარი დაუჭირეს ამ შეთანხმებათა რატიფიკაციას, უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნავდნენ სერიოზულ ზიანს, რასაც პარიზის შეთანხმებანი აყენებენ საფრანგეთის უშიშროების ინტერესებს, და მიმართავდნენ ყოველგვარ ფანდს, რათა გაამართლებინათ თავიანთი პოზიცია საზოგადოებრივობის თვალში.

პარიზის შეთანხმებათა განხილვამ რესპუბლიკის საბჭოში სრული სიცხადით გამოაშკარავა აგრეთვე, რომ მათი რატიფიკაცია (როგორც აღნიშნავდნენ კამათის მთელი რიგი მონაწილენი) ვერ შეანელებს სერიოზულ წინააღმდეგობას ერთი მხრივ საფრანგეთსა და მეორე მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, აგრეთვე რომ რატიფიკაცია შემდგომ გაამწვავებს წინააღმდეგობას საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის, სადაც ხდება რევანშის ძალების აღორძინება.

რესპუბლიკის საბჭოში გამართულ მთელ კამათს წვეთელ ზოლად გასდევდა სენატორთა მთელ რიგ სიტყვებში გამოხატული მისწრაფება — აიძულონ მთავრობა მიიღოს ღონისძიებანი, რომ დაუყოვნებლივ მოეწყოს დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკება საერთაშორისო უთანხმოებათა მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომელიც გამოიყენეს საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა, რათა ზემოქმედება მოახდინონ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც კანონიერად არის შეშფოთებული პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგებით, იყო მტკიცე განცხადება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს განზრახული აქვთ ახლა დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი, რომ მოეწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების შესახებ.

საფრანგეთის მხარე არ ასრულებს ქენევის შეთანხმებათა პირობებს

ხანოი, 27 მარტი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

ხაიფონის რაიონის (ჩრდილოეთ ვიეტნამში საფრანგეთის ჯარების დროებითი განლაგების ზონის) და კუანგ-ნგიო-ბინ-დინის რაიონის (სამხრეთ ვიეტნამში ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარების დროებითი განლაგების რაიონის) გადაცემის შესახებ მოლაპარაკება, რაც 1 თებერვალს დაიწყო დაზავების შერეულ კომისიაში, ჩიხში მოექცა იმ დაბრკოლებათა გამო, რომელებსაც საფრანგეთის მხარე ქმნის.

დღემდე გადაჭრილი არ არის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის საზოგადოებრივი ქონების გადაცემა, ორივე მხრის შეიარაღებული ძალების გაყვანის თარიღი და სხვ. საფრანგეთის მხარემ წამოაყენა უაზრო წინადადება იმის შესახებ, რომ ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარები კუანგ-ნგიო-ბინ-დინის რაიონიდან გაყვანილ იქნან 9 დღით ადრე, ვიდრე გაიყვანენ საფრანგეთის ჯარებს ხაიფონის რაიონიდან, თუმცა ეს არ შეესაბამება ჟენევის შეთანხმებათა პირობებს.

საფრანგეთის მხარემ დღემდე არ გადასცა ვიეტნამის სახალხო არმიის წარმომადგენლებს გადასაცემ საზოგადოებრივ საწარმოთა სრული სია. ამასობაში ხაიფონის რაიონში საფრანგეთის ჯარები კვლავ ხელს უწყობენ ნგო დინ დიემის აგენტებს, რომელნიც იტაცებენ საზოგადოებრივ ქონებას და აძიძულებენ ამ რაიონის მოსახლეობას გადავიდეს სამხრეთ ვიეტნამში.

დაძაბული მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო საიგონიდან იუწყება:

25 მარტის საღამოდან სამხრეთ ვიეტნამის მთავარ ქალაქ საიგონში საგანგებო წესებია. საფრანგეთის ჯარები მზად არიან გამოვიდნენ ყოველ მომენტში. ქალაქის ვიეტნამელთა გარნიზონიც ოცი ბატალიონის შემადგენლობით, რომელებიც მხარს უჭერენ ნგო დინ დიემის მთავრობას, არ ტოვებს ყაზარმებს. გარნიზონის შემადგენლობაში ორი ჯავშანსატანკო პოლკი და რამდენიმე საარტილერიო ნაწილია.

მდგომარეობა ქალაქში ძლიერ დაძაბულია. მთელ ღამეს სროლა იყო. ბევრი მცხოვრები ცდილობს თავი შეაფაროს ქალაქის რაიონებს, რომლებიც უფრო უშიშრად ითვლება. ამ უკანასკნელ დღეღამეში მთავრობისადმი მტრულად განწყობილი რელიგიური სექტების წარმომადგენლებმა მოსახლეობაში ბევრი ფურცელი გაავრცელეს.

საფრანგეთის გენერალურმა კომისარიატმა ინდოჩინეთში მოწოდებით მიმართა ფრანგ მოსახლეობას თავი შეიკავოს რაიმე კრებაში მონაწილეობისაგან და არ წავიდეს გარეუბნებში, თუ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზეზი არ იქნება.

ნიუ-იორკი, 27 მარტი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო საიგონიდან იუწყება:

26 მარტს სამი აჯანყებული რელიგიური სექტის ხელმძღვანელებმა მოლაპარაკება შეწყვიტეს პრემიერ ნგო დინ დიემთან, რომელიც ცდილობდა კომპრომისისათვის მიეწვია, და გაანაცხადეს, რომ იგი პასუხისმგებელია ყველაფრისათვის, რაც მოხდება.

საიგონში შიშობენ, რომ სამოქალაქო ომი დაიწყება. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ შეტაკება მოხდა ქალაქის ჩინურ უბანში — შოვონში.

26 მარტს საღამოს საფრანგეთის უმაღლესმა სარდლობამ საიგონში გაგზავნა ორი დივიზია სამხრეთ ვიეტნამის მეზავე პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით.

იაპონიაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის ჩასვლის გამო

შანხაი, 27 მარტი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას ხელშემწყობი ასოციაციის მიწვევით იაპონიაში ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის წევრთა პირველი ჯგუფი.

იუწყებიან, რომ იაპონიის საშუალო და წვრილ მრეწველთა ლიგა აქტიურად ემზადება ჩინეთის სავაჭრო დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის. საშუალო და წვრილი მრეწველები, რომელებსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობა იმ ჩიხიდან გამოსავლად მიაჩნიათ, რომელშიც ისინი ამყამად იმყოფებიან, ვაჭრობის გაფართოებას ძლიერ საჭიროდ თვლიან.

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სიდნეიდან იუწყება, გუშინ, სამხედრო მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა, ავსტრალიაში დაბრუნდა პრემიერ-მინისტრი მენზისი. აეროდრომზე მენზისმა პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა განცხადება.

მენზისმა ილაპარაკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „თავდაცვის" გეგმებზე; მისი განცხადებიდან გამომდინარეობს, რომ მისი გამგზავრების მიზანი იყო შეეთანხმებინა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ავსტრალიის სამხედრო ვალდებულებანი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმებთან ამ რაიონში.

მენზისის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ავსტრალიას ესაჭიროება „დიდი მეგობრების დახმარება", მისი დაპირება, რომ მზად არის „წვლილი" შეიტანოს დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო ღონისძიებებში, ამტკიცებს, რომ ახლა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის შემდეგ, იგი მზად არის კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით დაუჭიროს მხარი ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებს აზიაში. მენზისმა თავის განცხადებაში დაიმოწმა „კომუნისტური აგრესიის" მითიური საფრთხე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და თავის თავს ნება მისცა გაელაშქრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეეცადა უარეყო მისი კანონიერი უფლებანი ტაივანზე.

ტანკერ „არუბას" რუმინეთში დაბრუნების გამო

გაზეთ „გუნენენენიბაოს" სტატია

პეკინი, 26 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფინეთის ტანკერი „არუბა", რომელიც რუმინეთიდან საწვავის ტვირთით წავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ უკანონო მოქმედებისა და დაშინების შედეგად იძულებული გახდა დაბრუნებულიყო გასვლის პუნქტში.

გაზეთი „გუნენენიბაო" დღეს სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ყოველი ღონისძიება მიიღო იმისათვის, რომ არ დაეშვა ტანკერის ჩასვლა ჩინეთში. ამ მიზნით ამერიკის მთავრობამ ზეგავლენა მოახდინა ფინეთის მთავრობაზე, ამასთან სახელმწიფო მდივანი დალესი და სენატორი ნოულენდი თავიანთ გამოსვლებში დაემუქრნენ, რომ ამერიკის სამხედრო ხომალდები დაიკავებდნენ ტანკერს. ამერიკის ფლოტილია ხუთი ხომალდის შემადგენლობით ჩავიდა სინგაპურში, რომელიც უნდა გაეცლო ტანკერ „არუბას", ხოლო ჩანკაიშელთა ხროვას ბრძანება მიეცა დაეკავებინა ან ჩაეძირა ხომალდი.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ინგლისისა, აღნიშნავს გაზეთი, რომლის გემებს არაერთხელ დასხმიან თავს ჩანკაიშელი ბანდიტები, დაუმორჩილა ვაშინგტონს დიქტატს და გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ინგლისი არ დაუშვებს ტანკერის სათხოვნით მომართვიანობას ნავსადგურებში, რომლებიც ინგლისის კონტროლს ექვემდებარებიან. ამერიკელმა და ინგლისელმა მონოპოლისტებმა განკარგულება გასცეს არ მიეცათ ტანკერ „არუბასათვის" საბობი ინდონეზიის ნავსადგურებშიც, რითაც დაარღვიეს ინდონეზიის სუვერენიტეტი, რამაც ინდონეზიელი ხალხისა და მთავრობის ფართო პროტესტი გამოიწვია.

ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი მოქმედება, წერს დასასრულ „გუნენენიბაო", უხეშად არღვევს თავისუფალი ზღვაოსნობის პრინციპს და არ შეიძლება არ გამოიწვიოს 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის გულისწყრომა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 29 მარტს.

ფეხბურთი

ცდსა (მოსკოვი)—„დინამო" (თბილისი)

სოხუმი, 27 მარტი. (სპეც. კორ.). თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის ცდსა-ს ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრებას აქ დიდი ინტერესით მოელოდნენ. ეს შეჯიბრება გაიმართა გასულ კვირას. სოხუმის „დინამოს" სტადიონი საკმე იყო სპორტის მოყვარულებით.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 1 : 0.

ამის შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ მოსკოვის ცდსა-სა და თბილისის „დინამოს" ძირითადი მოთამაშეები. ცდსა-ს რიგებში რაზინსკი, კრუტიკოვი, პეტრაშევსკი, პეროვალოვი, ფომინი, პეტროვი, აგაპოვი, ვანზოვი, სავინი, ფეოდოროვი, ემიშევი; „დინამოს" — მარღანია, ელოშვილი, ძიაშია, ხოკოლავა, მახარაძე, დავარაშვილი, კოტრიკაძე, გაგნიძე, ქალოევი, ღოღობერიძე, ხასაია.

თამაშმა თავიდანვე საინტერესო სახე მიიღო. იგრძნობოდა თბილისელთა უპირატესობა. დინამოელთა ერთ-ერთი იერიში 23-ე წუთზე გოლით დამთავრდა. გაგნიძისაგან მიღებული ბურთი ცდსა-ს კარში გაიტანა ხასაიამ.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში არმიელი ფეხბურთელები მთელი ენერგიით იბრძოდნენ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს. მე-15 წუთზე ხასაიამ მეორე ბურთი გაიტანა ცდსა-ს კარში.

შეჯიბრება დამთავრდა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 2 : 0.

30 მარტს დინამოელები სოხუმში შეხვდებიან სარატოვის გუნდს და 1 აპრილს თბილისში დაბრუნდებიან.

პოლონელი მეცნიერები თბილისში

თბილისში იყო პოლონელ მეცნიერთა ჯგუფი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ვ. ოლმაკი და პროფესორი ე. მოსაკოვსკი გაეცნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტსა და სამშენებლო საქმის ინსტიტუტის მუშაობას. მათ დაათვალიერეს ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სასპორტო დარბაზის მშენებლობა, სადაც ლითონის ფერმების ნაცვლად იყენებენ შუხუტ რკინაბეტონის კონსტრუქციებს, რომლებიც სამშენებლო საქმის ინსტიტუტის კოლექტივმა შეიმუშავა. თავის მხრივ პოლონელმა მეცნიერებმა ილაპარაკეს თავიანთ მეცნიერულ შრომებზე დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორიის დარგში.

პოლონელი მეცნიერები იყვნენ გორში, საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, დათვალიერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და ქალაქ თბილისის ღირსშესანიშნაობანი. თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ისინი დაესწრნენ სპექტაკლ „აბესალომ და ეთერს". (საკდესი).

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 30 და 31 მარტს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი. დასავლეთის ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 7-12 გრადუსი სითბო. მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა; დასავლეთ რაიონებში დროგამოშვებით ნალექი, აღმოსავლეთ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. დასავლეთის ქარი 0-5 მეტრი წამში, მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 14-19 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

ვ. ა. ხატიაშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ... ...